**რედაქცია**

მოლნინის (აბას-აბატის) მეიდანზე, ყორღანოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

## საქართველო

### ვის ხელშია ქალაქის ვაჭრობა?

ჰკითხეთ რომელსამე თქვენ ნაცნობ ქალაქელ ვაჭარსა—და ამ კითხვის პასუხს მიიღებთ.

ის გეტყვისთ, რომ ჩვენი ქალაქის ვაჭრობა სამი თუ ოთხი კაცის ხელშია. ის აგიხსნით, როგორ არიან ყველა ვაჭრები დამოკიდებულნი ამ სამი-ოთხი კაცისაგან, როგორ მახეში არის იმათგან ქალაქის ვაჭრობა გაბმული და გახლართული. ის დაგარწმუნებსთ, რომ უამათოთ ქალაქის ვაჭრობას ამ ჟამად ფეხის გადგმაც არ შეუძლიან.

თუ ისინი შემოსწყრებიან და კრედიტს მოუსპობენ, წვრილი ვაჭრების მომეტებული ნაწილი ერთს წელიწადსაც ვერ გასძლებს.

რას მიქვიან ბანკები! ნამდვილი ბანკები ესენი არიან. და ეს ჩვენი „სავაჭრო და ურთი-ერთ კრედიტის ბანკები“ ხომ იმათვე ხელშია და როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ.

ყველა საქონლის ფასების აწევ-დაწევა, ჩვენი ბირჟის მდგომარეობა თითქმის მხოლოთ ამათზედაა დამოკიდებული.

აბა ერთიც ენახოთ და მაკარიობის დროს ჩ—მა მაგრათ მოუჭიროს ხელი თავის ჯიბეებს, ნურავის მისცემს ფულებსა; აბა ერთი მ—მა მოინდომოს დაცარიელება თავის უანგარიშო მაღაზიებისა და მიღება ყველა გასესხებული ფულებისა; აბა ო—მა გამოიტანოს თავის ფულები აქაური ბანკებიდამ და კიდევ ორმასამმა ჩასუქებულმა ვაჭარმა შეჰკრან პირი და ერთად იმოქმედონ,—და მაშინ ნახავთ—რა მდგომარეობაშიაც იქნებიან ყველა ჩვენი წვრილი ვაჭრები, ნახავთ—როგორ გაანძრევს ფეხს ქალაქის ვაჭრობა, როგორ აიწევ-დაიწევს ფასს სავაჭრო საქონელი!!

და არათუ მარტო ვაჭრები და ვაჭრობა, თითქმის ქალაქის გამგეობაზედაც გავლენა აქვთ; ვინც ჰსურთ, იმას ამოირჩევენ ხოლმე ქალაქის წარმომადგენლებად, რადგან ამომრჩევლები ისეთის ჯაჭვით არიან დაკავშირებულნი, რომ იმათ ბრძანებას ვერ გადავლენ...

ეს დრო—ზაფხულის დასასრული სწორედ ისეთი დროა ქალაქის უფულო წვრილი ვაჭრებისათვის, როგორც ჩვენებური სოფლის უმიწაწყალო გლეხებისათვის ზაფხულის დასაწყისი: როგორც გლეხს ეჭირება ამ დროს მიწა, რომ მოხნას-დათესოს და შემდეგ თავის სარჩო მოიმკას, და ხან ერთ მემამულესთან მივარდება მიწის ასაღებათ და ხან მეორესთან, სწორეთ ისეთივეა ახლა ვაჭრის მდგომარეობაც: ახლა ეჭირება იმას ფული სავაჭროთ, მაკარიაში წასასვლელად, ახალი საქონლის მოსატანათ, რომ შემდეგ კარგათ მოიმკას, და ესეც ისე გამწარებული დარბის ფულის საშოვნელად, ხან ერთს მიმართავს, ხან მეორეს; მაგრამ ბოლოს კი, უეჭველად, ერთ-ერთ ზემოხსენებულ ჩვენი ვაჭრობის ბობოლას მიადგება, რომელიც სხვა და სხვა პირობით აძლევს ან ფულებსა და ან თავის სახელს, ნდობას.

მთელი ამოდენა ქალაქის ვაჭრობა და გამგებლობა რომ რამოდენიმე კაცის ნება-ყოფლობაზე და იშტაზე იყოს დამოკიდებული,—ეს ხომ ნორმალური მდგომარეობა არ არის! ამას ხომ, უეჭველია, მთელი ქალაქის ცხოვრებაზე და მცხოვრებლებზე უნდა ჰქონდეს გავლენა!

ყველა კარგათ ჰხედავს, ყველა გრძნობს ამ გავლენას.

ამ გვარი უნორმალო მდგომარეობის მოსპობა, რომელიც შედეგია წარსული და აწმყო ჩვენი საზოგადო წყობილობისა, რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის და არც ერთი თვალის დახამხამების დროს განმავალობაში მოხერხდება.

მაგრამ არის ერთი საშუალება, ერთი სახსარი, რომელიც ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ამ მხრით შევიწროებულ ქალაქის ცხოვრებასა. ამ სახსარზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

ს. მესხი

### დღიური

□ იმერეთის მახარობელი ვართ... ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკის პროექტს, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სახელმწიფო რჩევა არ განიხილავსო, რადგან არც ერთი ისეთი მუხლი არ არის იმაშიო, რომელიც კანონმდებელობითი წესით განხილვასა და დამტკიცებას მოითხოვდესო; პირ-და-პირ ფინანსთ მინისტრი დაამტკიცებსო. ამასთანავე ამბობენ, რომ რადგან ამ მხრით დაბრკოლება და დაყოვნება არ იქნებაო, ამის გამო თვითონ პროექტიც მალე დამტკიცდებაო; მომავალი თვის დასასრულს ან ივლისში მოელიან დამტკიცებას.

ურჩევთ იმ იმერლებს, რომელთაც ამ ბანკში თავიანთი მამულის დაგირავება ჰსურთ (მგონი, ამათი რიცხვი ცოტა არ იქნეს), ახლავე შეუდგნენ თადარიგს და დაამზადონ ყველა საჭირო ქაღალდები და საბუთები მამულების საკუთრებისა...

□ წლევანდელ მოსავლის იმედზე კახეთიდამ კარგი ამბები მოგვდის. იწერებიან, რომ ჯერ-ჯერობით ისეთი ამინდები დგასო, რომ ჭირნახულისა და ღვინის მოუსვლელობისაგან შევიწროებულ ხალხს გულს უხარებსო; და შემოდგომამდინაც თუ არ გვესტუმრენ ჩვენი დამღუპველი კალია, სეტყვა და გოლვა, წელს ცოტა სულს მოვიბრუნებთო.

□ ბურიიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთ იქაურ სოფლებში ყვავილი გახშირებულა და ბევრს ხოცავსო. ჩვენი კორრესპონდენტი კანონიერ სურვილს აცხადებს, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს...

□ ამ თვის 22-ს ბურიის ერთს სოფელში ქრისტეს ამაღლების დღე უდღესასწაულნიათ. ჩვეულებისამებრ, ნასადილევს ღვინისაგან შეზარხოშებული ხალხი ეკკლესიაზე (თემობაზე) წასულან, საქეიფოთ, საჯირითოთ. ამ ქეიფის დროს ერთს აზნაურს ქ—ს, რაღაც უბრალო მიზეზის გამო, ჩხუბი მოსვლია მეორე აზნაურთან ე—ძესთან, უსროლია გულში დამბაჩა და იქვე მიუწვენია; დაჭრილი მეორე დღეს მომკვდარა.

ამ ამბის მოყვანის შემდეგ, ჩვენი კორრესპონდენტი ამბობს:

„გაფუჭდა ხალხი, ამათში არც კაცობა არის, არც თავმოყვარეობა. სადაც საჭიროა ბრძოლა, იქ იღრიჭებიან და გულზე ხელები დაუკრებიათ, და სადაც მართლა ღრეჭისა და მხიარულობის დროა, იქ კი დაჟანგულ დამბაჩებს ხმარობენ თავიანთ ძმებზე“...

ღმერთმანი, ამ სიტყვებში ცოტაოდენი ჭეშმარიტება მაინც ურევია!

## ფელეტონი

### ძველებური ამბები

### ურიების ჩხუბი

ხუჯუნის ხახამი ბაბრი მლიოზასშვილი და მცხეთის რაბი, რაღაც ერთმანეთის ანგარიშების გამო, დიდი მეფე სოლომონის დროს, გადაემტერენ თურმე ერთმანერთს.

იმ დროს საჯუნას მამასახლისობდა ერთი ანგარი და თავხედი კაცი, რომლისაგანაც ის სოფელი თითქმის ამოვარდნილი იყო. ამ ანგარმა მამასახლისმა სთქვა თურმე ერთხელ:

„ირმებს საბალახოზედ კინწლაობა მოუვიდათ; დაეჯახნენ ერთმანეთს და ისე შეუკვეტეს ერთმანეთს რქები რქებში, რომ დაებნენ და საძრაობა აღარა ჰქონდათ. იმ დროს მონადირე წაესწროთ თავს, დაგრიხა ღვლეჭი და ჩააბა ორივეს. მოდი, მეც იმ მონადირისა არ იყოს, ამ ხახამ—რაბის ჩხუბით ვისარგებლებ და ორივეს დავთოკამო“.

სთქვა და გადაწყვიტა; შემდეგ მოვიდა თურმე ხახამთან და უთხრა: „ხომ იცი, თუ რა საყვარელი ვარ დადიანისო? ნათესავია ქართლბატონის, წიგნს მიგიწერს მასთან, გიშუამდგომლებ და მას გააგდებენ და მის ადგილს შენ მოგცემენო; ამას მე მოგიხერხებ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ურიები მომაწველინოო“. თავ-მოყვარეებით გაბრუებული ხახამი, რომელიც ადრე კარგი კაცი იყო, სანამ მეწვრილმანეებს არ ჩაუვარდათ ხელში და არ გადაახვევინეს სწორ-გზიდამ, დაეთანხმა მამასახლისს, შევიდა მათს სალოცავში ე. ი. სინაგოგაში, და რომ გამოვიდა, შიგ აღარა დარჩენილა რა.

ატყდნენ, აგანგაშდნენ ებრაელები. ერთმა მათგანმა—არონა პაკიტელაშვილმა გამოაცხადა ეს საქმე, ასე რომ ამ ამბავმა დადიანის ყურამდე მიაღწია და მოსთხოვეს პასუხი ხახამს. ხახამმა იფიქრა: „მე მოსეს კანონით მაქვს უფლება მონიჭებული, რომლის ძალით ცოდვას შეუნდობ სხვებსა და თუ სხვების მიტევება ჩემ ხელთ არის, მაშ ჩემმა თავმა რაღა ქვა მკრაო? ჩემს თავს უფრო ადვილად არ შევუნდობო?

ასე განიზრახა გულში და მიჰყო სიცრუეს ხელი: გადათქვა სიმართლე და ურცხვად დაუპირა არონა პაკიტელაშვილის პირში წადგომა. რაც უნდოდა, ის სთქვა და საბრალო არონას, თუმცა დამტკიცება კი შეეძლო, მაგრამ რომ ჰკითხეს, თურმე ხმაც ვერ ამოიღო; მაყურებლებს გაუკვირდათ, იძახდნენ: ეს რა დამართნია ამ კაცს? მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ხახამი უსინიდისობაზედ ადგიაო და რატომ არ წაუდგება პირშიო. თურმე, ნუ ბრძანებთ, ბოლოს გამოდგა რომ დადიანს არონა პაკიტელაშვილისათვის ბურთი ჩაედვა პირში.

ეს საქმე, რომ გამოაშკარავდა, მაშინ შეიკრიბენ ურიები და რა ქმნეს?

აკაკი

(შემდეგში იქნება)

□ ქუთაისიდამ გვწერენ, რომ უ. ვლასტოვისლუბერნატორობის დროს, იქაური ქალაქის გამგეობის თავად, დროებით, თ. ნ. აბაშიძე დაუნიშნავთ...

## „დროების“ კორრესპონდენცია

სამეგრელო, 20 მაისს

სწორეთ თავი მოგვაბეზრა წრევანდელმა ზამთარმა, როგორც ხშირი ავდრებით, ისე ხშირი ქურდობით. მაგრამ როგორც იყო ხელიდგან დავუძვერით ზამთრის თოვლ-ჭყაპსა და ტალახს. ცოტა არ იყოს ქურდებისაგანაც მოსვენება გვაქვს, თუმცა ახლაც კი არის ავაზაკობა.

გამოვედით გაზაფხულის პირათ. დაიწყო მშვენიერი დღეები; დღით მზე და ღამით ნამი. გაუხალისდა მეგრელს გული.

გლეხები მხურვალეთ შეუდგნენ მუშაობას. შეიქნა აქეთ-იქით სახნავი ადგილების ძებნა. ვინც მიწაზედ ნაკლებ იყო, მიდიოდა იმ მებატონესთან მიწისათვის, რომელსაც მიწა ბევრი აქვს. ისე გამრავლდა მიწის მეძიებელი, რომ მებატონე ერთსა და იმავე მიწას ორ-სამ კაცს აძლევდა შესამუშავებელათ და როდესაც გლეხები მივიდოდნენ მიწის შესამუშავებლათ, აუტყდებოდათ ხოლმე ერთი ალიაქოთი და დავიდარაბა; შეიქნებოდა ჩხუბი.

მაისის პირველ რიცხვებში ისეთი გახშირებული ჩხუბი და „თავის ტეხა“ იყო სამეგრელოს გლეხებში, რომ პოლიციის მოხელეებსა და მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ერთი საათი მოსვენება არ ჰქონიათ, ხან იქ მიდიოდნენ საქმის გარემოების შესატყობათ და მაჩხუბრების დასამშვიდებლათ და ხან აქ.

მაგრამ გაცხარებული მუშაობა და ჩხუბი ისევე თავისით დამშვიდდა, როცა დადგა საშინელი სიცხეები და გახმა მიწა ასე, რომ ხვნა აღარ შეიძლებოდა. გლეხებმა, რადგანაც სხვა საშუალება არ იციან, დაიწყეს გულზედ ხელი და მიაბჯინეს თვალები ცას, სთხოვენ ღმერთს წყალსა.

მაგრამ არ გაჩნდა წვიმა; სიცხეები თან-და-თან ძლიერდება ასე, რომ ხის ნორჩი ფოთლები დააჭკნო და ზოგან კიდევაც დასწვა. თუ ამ სიცხეებმა ასე გასტანეს ერთი ორი კვირა, სამეგრელოს დაადგება ის დღე, რომელიც ადგა ამ ცოტა ხნის წინეთ ქიზიყელებს.

ერთი სიტყვით, დაბალ ხალხს გვალვის გამო იმედი დაეკარგა მოსავლისა.

დღეს ჩვენი სიმინდი სამზღვარ გარეთ მიაქვსთ და ხვალ ჩვენ სხვისი უნდა მოვიტანოთ ერთი-ორათ უფრო ძვირი.

ანთიმოზი

# უცხო ქვეყნები

**საფრანგეთი.** ვერსალიდამ მოსული ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ მაისის 13 (25) ნაციონალურ კრებაში ყოფილა ამორჩევა იმ ახალი კომისიის წევრებისა, რომელმაც, ამ კრების გადაწყვეტილების ძალით, დჰიუფორისაგან წარდგენილი დამატებითი კონსტიტუციური კანონები უნდა განიხილოს. აღნიშნულ დღეს მხოლოთ ცამეტი წევრი აურჩევიათ, ამათში შვიდი ისეთი, რომელნიც მარჯვენა და მარცხენა მხრის პარტიებისგან ერთად ყოფილან კანდიდატათ წარდგენილნი და ექვსი კი ისეთები, რომელნიც მხოლოთ მარცხენა მხრიდამ (რესპუბლიკელებისაგან) იყვნენ წარდგენილი. დანარჩენი დეპუტატებიც, როგორც ამბობენ, მარცხენა მხრის არიანო. ეს გარემოება ცხადათ გვიმტკიცებს—თუ რამდენათ გაძლიერებულა თვით ამ კონსერვატორულ კრებაში რესპუბლიკური პარტია და რამდენათ აუცილებელად დაუნახავთ თვით რესპუბლიკის მოსისხლე მტერებს, რომ რესპუბლიკა მკვიდრ საფუძველზე დაადგინონ.

— რაიცა შეეხება ომიანობას, სამზღვარ გარეთ ამაზე ახლა თითქმის არაფერი შიში აღარ არის, ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპაში ომიანობა არ ატყდება. საფრანგეთის უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრს-გერცოგ დეკაზს საყოველთაოთ გამოუცხადებია, რომ არასოდეს არ ყოფილა საფრანგეთი გერმანიასთან და სხვა ევროპის სახელმწიფოებთან ისეთს კარგს განწყობილებაში, როგორც ახლა არისო.

და თუ ეს მართალია, თუ საფრანგეთი და გერმანია კარგ განწყობილებაში არიან, მაშ ომიანობის შიში არ უნდა იყვეს.

**ინგლისი.** ინგლისის პარლამენტში ყოფილა მოლაპარაკება ლონდონის იმ ღარიბ უბნებზე, რომელშიაც საწყალ-ლატაკი და გარყვნილი ხალხი დგას. ამ საგნის თაობაზე ინგლისის ჟურნალისტიკაში ხელახლად ატყდა ახლა გაცხარებული ბაასი და სჯა; ყველანი ჰყვირიან, რომ ეს დედა-მიწის ყველა ქალაქებზე უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი ისეთი სისაწყლით და გარყვნილობით არის სავსე, რომ ადამიანის გონება ძნელად წარმოიდგენსო; უთუოთ რამე და მალე უნდა მოუხერხოს მთავრობამ ამ გარემოებასაო, თორემ შემდეგ გვიან იქნებაო. ვნახოთ, ინგლისის ლორდები როგორ გაათავებენ ამ საქმეს: გამოსცემენ ისეთს განკარგულებას, რომ შეამსუბუქონ ლონდონის ღარიბ ხალხის მდგომარეობა, თუ ისევ ძველ წესზე დასტოვებენ ყველაფერს.

# ქრონიკა 8

## ამ დროინდელი საქართველოს მდგომარეობა, სარწმუნოება, მართველობა, სამხედრო იარაღები და მწერლობა

წინა ისტორიულ სურათში ჩვენ ვსთქვით, რომ მცხეთოსის სამმა შვილმა მამის ხვედრი მიწა-წყლის წილი სამად გაიყვესო და აქედგან წარმოსდგა: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და ზემო ქართლიო.

მაგრამ, რადგან ზევით არსად არ გვითქვამს, ახლა ვიტყვი, რომ თავდა-პირველადვე ერთობა დაიჭირეს მხოლოდ მოსხისა, ქართლოსისა, ჰეროსისა და ეგროსის შთამამავლობამ; სხვა სამი ძმის შთამამავლობამ კი თავი უფრო გარ[illegible] ამისათვის ამ ოთხის [illegible] მათ-მთავრის შთამამავლობამ და ამათ სამის ძმის ბარდოსის, მოვაკანოსის და ლეკოსის შთამამავლობამ ასტეხა ურთიერთს შორის ომი.

ამ შინაურულმა ლაშქრიანობამ ისრე შეაჯახა ნათესავი ხალხი ერთმანეთს, რომ სამოქალაქო წესი და სარწმუნოება დაეცა. მამა-პაპის სარწმუნოებაზე ხალხის სასოება ისრე დაეცა, რომ იმან ადვილად შეჰცვალა ერთის დამბადებელის ღვთის თაყვანისცემა. ქართლოსისა და მცხეთოსის დროს ქართველები ერთ-ღვთაებას თაყვანსა სცემდნენ. მაგრამ რადგან ქართლოსის დროს ქართველთა ერის შთამამავლობის თემებს ერთმანეთში დიდი სიყვარული და მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდათ, და ახლა კი ამ მშვიდობიან ცხოვრებას იყვნენ მოკლებულნი, ამისათვის ქართლოსიანებმა მოიგონეს თავისი პაპა და ღმერთებრივი თაყვანისცემა დაუწყეს იმის საფლავსაც. ხალხის მდგომარეობა ისრეთი სამწუხარო შეიქმნა, რომ ყველამ დაიწყო ნატვრა ქართლოსის დროების მობრუნებისა. ამისათვის მიდიოდნენ და ქართლოსის სამარეს თაყვანსა სცემდნენ.

ამ სახით აქედგან მე გამამყავს, რომ ქართლოსიანები ამდროს ცაში ერთ ღმერთს თაყვანსა სცემდნენ, ქვეყანაზე ქართლოსის სამარეს. მაგრამ დროს და დროს განმავლობაში სარწმუნოება ქართლოსიანებს შეეცვალათ. რადგან ქართლოსიანებსა და ბაბილოველებს, როგორც ამბობს, „ქართლის ცხოვრება“, სულ თავდაპირველადვე კავშირი ჰქონდათ, ამისათვის ეჭვი არ არის, რომ როცა ბაბილონში შემოვიდა კერპთ-თაყვანის მცემლობა, მაშინვე შემოვიდა საქართველოშიაცა.

აი რა გვარად ახსნის მსოფლიო ისტორია ბაბილონში კერპთ-თაყვანის-მცემლობის შემოსვლას.

„მიწის მუშაკი გამოცდილებამ მიახვედრა, რომ მთესვარმა თუ თესლი მთვარის ახალში არ ჩააგდო მიწაში და ზოგიერთის მნათობების გამოჩენის დროს, არ მოდის კარგი მოსა-

---

### მახვილაძე

ერთი ქართლელი გლეხი, სახელად მახვილაძე, წყაროზე მიდიოდა წყლის დასალევად.

წყაროსთან რომ მივიდა, ნახა, რომ ერთი ლეკი გამოსულა ტყიდან და მოდის წყლის დასალევათ. ეს ლეკი იყო იმ დროში გამოჩენილი და სახელ-გათქმული ბელადი, სახელად მამალო, რომლისაგან ქართლი დიდათ შეწუხებული იყო.

ქართველი და ლეკი ერთად შეიყარნენ წყაროსთან. დანახვისათანავე ლეკმა მკვახეთ შემოუყვირა:

— გაჩერდი, სად მოხვალ, გიაურ!

— არსად, წყალი მწყურიან, მინდა დავლიოო, უთხრა მახვილაძემ.

— იცი, მე ვინა ვარ?

— ვინ იქნები? წუნკალი ლეკი ხარ!

— არ იცი შენ, რომ მე მამალო ვარ?

— არც მე გახლავარ დედალო, მიაძახა ქართველმა.

ორთავემ უეცრად გადილეს თოფები მხრიდან და დაუმიზნეს ერთმანეთს. დაიჭექა პირველად მახვილაძის თოფმა და ბელადი დაეცა პირქვე.

— აკი გითხარი, ჩემო მამალო, რომ არც მე გახლავარ დედალიმეთქი? თუ კი მე არ გიშლიდი წყლის დალევას, შენ რას მიშლიდი ჩემს ქვეყანაში, მაწანწალა ლეკი!

დალია წყალი და წავიდა თავის გზაზე.

---

### თუში

ერთს თუშს შეუფალარათებია, თოფი მხარს გადუკიდია და ყანას ხნავს. ამ დროს წამოეპარა ლეკი; თუშმა მოისვა თოფს ხელი, ესროლა და ააცილა. სხვა იარაღი არა ჰქონდა რა. გადმოიბრუნა თოფი და ხელმეორეთ დაუწყო ტენა.

ლეკი მოვიდა ახლოს, ჩახმახ-აწეული თოფი მიადვა შუბლზე და უთხრა:

— თუშო, რაღას სტენი! აი გავარდა თოფი და შენი სულიც თან გაჰყვა!

თუშმა გულ-გრილათ შეხედა, ისევ განაგრძო თოფის ტენა და მიუგო:

— ფალიამ რომ აიწვას ეგ შენი თოფის წამალი, მაშინ ხომ მზათ დამრჩება ხელში ჩემი თოფი და შენ მოგკლამ პირ-იქით!

გაკვირვებულმა ლეკმა გადიღო თოფი.

— თუშო, ჩემი დინის მადლმა, ყოჩაღი ყოფილხარ, დღეიდგან ჩვენ კუნაკი (ამხანაგი) ვიყოთ!

როცა თუშმა გაათავა თოფის გატენა, მიუბრუნდა და უთხრა ლეკს:

— ეგრე იყოს, კუნაკები ვიყოთ!

მისცეს ერთმანეთს ხელი ხელში.

— მისი დინი ძაღლის დინი იყოს, ვინც ულალატოს ერთმა მეორესო! უთხრა ლეკმა.

— შერცხვეს მამაცი,
ერეკლის კაცი,
ვინცა უმტყუნოს,
გახდეს დიაცი.

უთხრეს ერთმანეთს თავისი ვინაობა და გაშორდნენ.

სხვიტორელი

ვალი. ამისათვის შეუდგნენ ვარსკვლავთ-მრიცხველობას და ამ მეცნიერებამ კაცი მიაჩვია წარმართობას. ღვთის მოშიში მთესვარი ციურს მნათობებს რომ უყურებდა, ეგონა თუ ვარსკვლავები და სხვა მნათობები არიან ანგელოზები და ღმერთებიო, რომელნიც იცავენ იმის ნათესს და აძლევენ მოსავალს. ის აღმერთებდა იმათ და გამჰჭვირვალე მადლობის გრძნობითა სხვერპლსა სწირავდა. მაგრამ რადგანაც გათენდებოდა თუ არა, ყველა ეს ღმერთები ემალებოდნენ კაცის თვალს, და ეს უშლიდა, რომ იმას ყოველ ცისმარეს დღეს მათთვის ლოცვავედრება გაემართა, იმან დაიწყო იმათთვის ტაძრების აღშენება და შიგ აშენებდა იმათს გამომხატველ ქანდაკებს. ბაბილონელების უპირველესი ღმერთები იყვნენ: ბ ე ლ ა და ბ ა ა ლ ი.“

ეს ამბავი ისტორიკოსების ანგარიშით მოჰხდა 2000 წლიდგან ვიდრე 1250 წლამდე ქრ. დაბად. წინ. ეს ის დრო არის, როცა საქართველოში არც მეფეა, არც თავადი, არც აზნაური, მაგრამ ნაცვლად ამისა გაძლიერებულია მამასახლისობითი უფლება და ხვნა-მთესველობაცა. თქმა აღარ უნდა, რომ ბაბილონში და საქართველოში ერთ [დროს] შემოვიდა კერპთ-თაყვანის-ცემლობა. ქართველების ღმერთი—ბ ო ჩ ი მე მომაგონებს ბაბილონელების ბელას, რომელიც მთვარეს წარმოადგენდა. როგორათაც რომ ბაბილონში ნებროთის სამარესაც თაყვანის-ცემა დაუწყეს და ბუთქებსაც, აგრეთვე მოიქცნენ ქართლოსიანებიცა. იმათ ქართლოსის სამარესაც პატივის-ცემა დაუწყეს და მთვარესა, მზესა და ვარსკვლავებსაც.

თეიმურაზ ბატონის შვილი ამბობს, რომ ბ ო ჩ ი ქართველების საკუთარი ღმერთი იყოო. ესევე მწერალი ამ ღმერთს ასრე გამოხატავს: „ბოჩის ესხნეს შვიდნი ხელნი, და ხელმწიფებდა თვითოეულთა ხელითა შვიდთა მათ უმაღლესთა მწვერვალთა ქავკასიისათა და თვითოეულსა იმის ხელსა ჰქონდა თითო ფერი უფლება მოფენად წყალობისა, გინა რისხვისა. (იხ. 51 კაბ).“

ამ ღმერთს ქართლოსიანები თაყვანსა სცემდნენ ფარნაოზამდე და იმისი შვიდი ხელი სხვათა შორის წარმოადგენდა საქართველოში დასახლებულის შვიდი ძმის უფლების სიმბოლოს.

ამ ღმერთის ხალხში უფლების წარმომადგენელნი და მისნი მსახურნი იყვნენ ქურუმები. ამათი უფლება რამოდენად იყო შენივთებული, ამის გამოკვლევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მაგრამ თეიმურაზი ამ დროს შესახებ ამბობს, რომ ქურუმები ასწავლიდნენ ქართლოსიანებს სარწმუნოების რიგსა და წესს, დარბაისლობასა და სამხედრო ხელოვნებასო (იხ. 57 გვ.)

რადგან საქართველოში ქრ. დაბად. წინ, ფარნაოზამდე ხვნა-თესველობა გავრცელებული იყო, ამისათვის არ არის ეჭვი, რომ საქართველოში შენივთებული იყო რაღაცა სამოქალაქო და სამხედრო წესიცა. ეს ჰაზრი მით უფრო უმეტეს ნამდვილია, რომ ამავე დროს ეგვიპტეში ხვნა-თესველობა ძლიერ გავრცელებულია. ნუ დავივიწყებთ ამასაც, რომ მსჯელობისამებრ ისტორიკოსების სამეგრელო დაიპყრო, 1454 წელს, ეგვიპტის მეფემ ხვარამზე დიდმა (სეზოსტრისი) და შემოიღო ეგვიპტური ხელობები, ჩვეულებები და სარწმუნოება. ეს ხვარამზე მეფობდა 1445 წლიდგან და ამ დროს ეგვიპტეში არამც თუ სამეფო იყო შენივთებული, არამედ სამოქალაქო წესები და წოდებებიცა (კასტები).

მაშასადამე სრულიად არ არის საეჭვო, რომ სეზოსტრისის დროს საქართველოშიაც ყოფილიყოს რამე უფლება, სამოქალაქო წესები და სამართლიანობა. აეხსნათ ის თეიმურაზ ბატონის შვილის ჰაზრისამებრ.

ინგილო ჯანაშვილი

(დასასრული ამ სტატიისა შემდეგ №-ში)

# საგაასო

## რამოდენიმე სიტყვა უ. X-ის პასუხად

—

(დასასრული)

რედაქციის შენიშვნა. როგორც ამაში, აგრეთვე ამ სტატიის პირველ ნახევარშიაც ჩვენ ბევრი ალაგები გამოუშვით: უფ. ს. ცქიტიშვილი ისეთის უკადრისის სიტყვებით ლანძღავდა თავის მოწინააღმდეგეს, რომლის ხმარება მწიგნობრობაში ყოვლად შეუძლებელი იყო და ამიტომ, იმედია, ამ სიტყვებისა და ალაგების გამოშვებას მოგვიტევებს. — რედ.

„შესავალ-გასავალის წიგნი უთუოდ თვის გასულს უნდა იქმნეს შემოწმებული, მაგრამ რადგან თავის დროზედ არ სწერს ხარჯს, არც ეს სრულდება“, ამბობს ვითომ მ. ლ—ძე.

ვერ წარმოვიდგენ, თუ როგორ სთქვა ეს სიტყვები იმ კაცმა, რომელიც აქაურ სამღვდელოებას დადათ მიაჩნია!

შესავალ-გასავლის წიგნები პირველი თვისთვის ყოველთვის მზათ იყო შესამოწმებლათ, მაგრამ ყოველთვის შეუმოწმებელი რჩებოდა და ამის დამნაშავეც თვითონ სამმართველოს წევრები იყვნენ. „აქლემები წაიჩხუბნენ, კოზაკი შუაში გამოჰყლიტესო“,—ისე მოსდიოდა აქ ეკონომს. სამმართველოს წევრი მ. ლ—ძე და იმის ამხანაგობა მოვიდოდნენ ხოლმე ღამის ცხრა საათზე, დაიწყებდნენ სამმართველოში, ბაასსა და წიგნების შემოწმება კი არა, ათი ჟურნალიც რომ ყოფილიყო შესასრულებელი ორსაც ვერ შეასრულებდნენ, ისე დარჩებოდათ. მეორე დილაზე ერთი წევრი შორაპანში მირბოდა და მეორე ბონოჯაში და სასწავლებლის საქმე ისევ შეუსრულებელი რჩებოდა. განა ამაში ეკონომი იყო დამნაშავე?

„ამ მიზეზებთა გამო მე საუმჯობესოდ ვრაცხ სხვა კეთილ საიმედო პირს მიენდოს ეს თანამდებობა და არა უფ. ცქიტიშვილს, მით უმეტეს რომ წიგნებში ბევრი შეშლილი და გასწორება არის მომხდარი.“

ნეტავი ვინ ჰყავდათ სხვა კეთილ საიმედო პირი, თუ არა ის პირები, რომლებიც თავს-მჯდომარემ წარუდგინა სამღვდელოებას, საეკონომოთ, მაგრამ იმათ ამორჩევაზედ დეპუტატებმა ხომ უარი სთქვეს! წიგნებში ბევრი შეშლილი და გასწორება არისო; რა გასაკვირველია, ოთხი წიგნის წერაში ერთი ან ორი სიტყვა შეიშალოს და გასწორდეს. იქ, სადაც შემოსავალ-გასავლისათვის ერთი წიგნი იყო საკმაო, თქვენ ოთხი წიგნი მიაჩეჩეთ ხელში ეკონომს და ერთ წიგნში რომ რამეს ჩასწერდა, ეტყოდით, ეს მეორე წიგნში უნდა ჩაგეწერაო; იქ აშლევინებდით და მეორეში აწერინებდით, იმიტომ რომ ბოლოს ისევ ის ეკონომი გაგემტყუნებიათ. იმ წიგნში, რომელსაც თვითონ ეკონომიც საჭიროდ და საკმაოდ რაცხდა, სრულიად არა არის რა შეშლილი და გასწორებული და თვითონ რევიზორმაც საკმაოდ ნახა შესავალ-გასავლის ჩასაწერად და სხვა წიგნები კი გააუქმა.

„რაც უნდა დაუნიშნოთ და არ დაუნიშნოთ, ეკონომი ეკონომიურ ანგარიშს არ მოშლისო,—ამბობს ვითომ ერთი დეპუტატთაგანი.

ეკონომი ეკონომიურ ანგარიშს არ მოიშლისო!—ნეტავი, რა გინდათ ამათი სთქვათ? ეგებ ის, რომ ეკონომობა უსინიდისობა იყოს! „ანჩხლ დედამთილს, რძალიც ანჩხლი ეგონაო, ხომ გაგიგონიათ?

შემდეგ ბევრი ყბედობისა, უფ. X—სო, თქვენ გსურს გააცნოთ საზოგადოებას ჩემი თავი—რა საკვირველია, სხვა მხრით—შემდეგი სიტყვებით: „ამ ცქიტიშვილს მასწავლებლობისა აქვს 600 მ. და ეკონომის თანამდებობის ასრულებისა 100 მანეთი, შეშა, ოთახი და სანთელი.“

მე მასწავლებლობის 600 მ. კი არა 640 მ. მაქვს და მიკვირს, სამღვდელო პირი ხართ და არ იცით—თუ რამდენი ჯამაგირი ეძლევა თვითო მასწავლებელს ამ ჩვენ სასწავლებელში, და თუ სასწავლებლის სამმართველოს წევრიხართ, ხომ უფრო უნდა იცოდეთ... მაგრამ თქვენ მაინც კუჭი რათ გეწვისთ?

შემდეგ თქვენ კიდევ შემდეგს ამბობთ:

„მე არასოდეს არ დავიჯერებ, რომ იცოდეს ვინმემ თუ ჩვენს სასწავლებელში 700 მ. (უნდა გეთქვა 740 მან.)—შეშას, ოთახს და სანთელს მიიღებს კაცი და ორით უკეთესი მაზედ არავინ წამოვიდეს.“

ნეტავი შემატყობინა, თუ საიდან გინდათ თქვენ და თქვენს ამხანაგობას ჩემზედ ორით უკეთესი მასწავლებლის გამოწერა; ამერიკიდან თუ ინგლისიდან? (?) თქვენი 700 ანუ 740 მანეთი თქვენვე მიგაჩნიათ დიდათ, თორემ სხვას არაფრათ უკვირს. მაშასადამე თქვენ იცოდეთ, რომ ჩემზედ ორით უკეთესს მასწავლებელს თქვენ ვერ იშოვით და ჩემის მხრით კი ამას გეტყვით, რომ ეკონომის თანამდებობას დიდის სიამოვნებით დაგითმობთ და ჩემს მასწავლებლობიდან დათხოვნაზედ [illegible] ლათ თავს ნუ-იწუხებთ; [illegible] საქმე არ არის და გიჯობთ, რომ თქვენს ტყავში იყოთ, რადგანაც თქვენ ძალიან ცოტა გესმისთ ამგვარს საქმეში; და რომ კიდევაც დამითხოვოთ, ჩემთვის სულ ერთია. ჩიტმა სთქვა: „ჩემი ბუდე იქ არის, სადაც საკენკი მექნებაო“.

მშვიდობით. რამდენიც უნდა ილაპარაკოთ, ჩემგან ამის მეტს პასუხს ნუ მოელით ნურც თქვენ და ნურც თქვენი ამხანაგები. მხოლოდ ამას გირჩევთ, რომ, თუ კიდევ გაბედოთ ამნაირი თავხედობა, წერის დროს სინიდისიანად მოიქეცით; ფაქტები ნამდვილი გამოხატეთ და სხვის წარმოთქმულ ჰაზრსა და სიტყვებს ნუ დაამახინჯებთ და მით მკითხველს უბრალოდ ეჭვში ნუ შეიყვანთ.

ს. ცქიტიშვილი

---

შეცდომის გასწორება.

„უფალო რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის „დროების“ № 52-ში იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია იმერეთის სამღვდელოების ყრილობაზე. ამ კორრესპონდენციაში, ბევრისა სხვა და სხვა ლაპარაკის შემდეგ, იმისი დამწერი სხვათა შორის ჩემზე სწერს შემდეგსა:

„ბ. მ. ა. ბ. მაგაში მე სრულებით დამნაშავე არა ვარ, თუ გაიგონებთ, მოგახსენებთ, გაიგეთ ამბავი და ბოლოს ვნახოთ გამამტყუნებთ მე თუ არა. აი, ბატონო, როგორ იყო: მე გახლდი ძლიერ ავათ სიცხით, როდესაც ლოგინში ვიწექი, ჩემთან ჩამოვიდნენ მ—ნი და უფ. მ. ა—ნი ხამოიტანეს რაღაცა ჟურნალი და მომაწერინეს ხელი. ბოლოს გავიგე, რომ თურმე ჟურნალი ყოფილა ჭეიშვილის გამორიცხვაზე. ეს მე მეწყინა და მაშინვე გავიქეცი ყოვლად-სამღვდელოსთან და მოვახსენე.“

ამ სიტყვების თაობაზე, მე უნდა განვაცხადო, რომ ჩემთან მ. მ—ნი და ა—ნი არ ჩამოსულან და არც ჩამოუტანიათ ჩემთან ჟურნალი ჭ—ის დათხოვნის თაობაზე და არც რაიმე დარიგება მოუციათ ჩემთვის, რომ მე იმაზე ხელი მომეწერა. მხოლოდ მე ჟურნალი მომიტანა ბიჭმა და მე, რადგან ავათ ვიყავი, ვერ ჩავიკითხე და უმისოთ ხელი მოვაწერე.

გიგზავნით რა ამა განცხადებას, უფალო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ეს სტრიქონები დაბეჭდოთ თქვენს „დროებაში.“

ბ. მ. ა. ბ.

# ნარევი

ჩრდილოეთ ამერიკის ერთს მდიდარს კაცს ერთი მილიონი დოლლარი შეუწირავს ისეთი უნივერსიტეტის გასახსნელად, სადაც სტუდენტებს მუქთ სწავლას გარდა უფასოთ ექნებათ ტანთსაცმელი, საჭმელი და ოთახი.

* *
*

ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ პარიჟში ერთმა რუსის ახალგაზდა ქალმა ოკუნკოვისამ მშვენიერად დაიჭირა ეგზამენი და დოქტორობის დიპლომიც მიიღოო.

* *
*

შარშან და წელს ჩვენში ბევრგან რქი-ნი პირუტყვის ჭირი ყოფილა და, როგორც ამბობენ, ბევრი გაწყვეტილა.

ამ ჟამად ქალაქში ძალიან გახშირებული ქურწილები არისო...

* *
*

ამერიკაში მცხოვრებ იტალიელებს განუ-ზრახავთ ქრისტეფორე კოლუმბისათვის ძეგ-ლის აგება. იმათ ჰსურთ, რომ ეს ძეგლი ფილადელფიაში აკურთხ·ნ იმ დროს, რო-დესაც ამ ქალაქში მსოფლიო გამოფენა იქ-ნება და ამერიკის განთავისუფლებისა და დამო-უკიდებელი რესპუბლიკის დაფუძნებას იდღე-სასწაულებენ.

*
* *

ფილადელფიის მსოფლიო გამოფენაზე (ამერიკაში), სხვათა შორის, ნოეს კიდობანი იქნება გამოფენილი, ისეთი როგორც ბიბლი-ბაშია მოხსენებული და აწერილი. ამბო-ბენ, ამ კიდობანს წყალში ჩაუშვებენ და ისეირნებენო...

*
* *

ციურიხში შემდგარა საზოგადოება, რომ-ლის მიზანი არის, რომ მიცვალებულის გვა-მის დაწვის ჰაზრი გაავრცელოს შვეიცარი-აში. ამ საზოგადოებას თავის პროექტი წა-რუდგენია დასამტკიცებლათ მთავრობასთან, რომელიც, როგორც ამბობენ, არაფერ და-ბრკოლებას არ ნახავს იმის დამტკიცების წინაამდეგ.

*
* *

ოსმალოს ერთს პატარა ქალაქში ამას წინათ ერთი თათრის მოლლა და ერთი სომ-ხის ეპისკოპოსი წაბაასებულან და ბოლოს, რო-ცა მოლლას სიტყვით ვერ უჯობნია, ყელში ხე-ლი წაუჭირებია ამ ეპისკოპოსისთვის და და-უღრჩვია...

# განცხადებანი

## თელავის სასულიერო სასწავ-ლებლისაგან

§1. თუმცა თელავის სასულიერო სასწავლებელი დაბალი ხარისხის სას-წავლებელია და თავის მოწაფეს აძ ლევს მხოლოდ თავდაპირველ სწავ-ლასა, გარნა ეს სწავლა არ არის უ-რიგ მარიგო, არამედ არის წესზედ წყობილი ანუ სისტემატიკური.

§2. ამისთვის პირველ კლასშივე ამა სასწავლებლისა მიიღება მხოლოდ მომზადებული და იმდენათ მომზა-დებული ხნით და სწავლით, რომ შეეძლოს სმენა და მითვისება წესზედ წყობილი წავლისა, რომელიც მას გარდაეცემა ხსენებულ კლასში.

§3 პირველ კლასში შემომავალი უნდა იყვეს არა ნაკლები ცხრა წლის ნახევრისა (9 ½ წ.) და არა მეტი თორმეტ წლინახევრისა (12½ წ.), უნდა იცოდეს აზრიანათ და შესმე-ნით კითხვა და წერა ქართულად, სუმბუქი, ანუ ცოტაოდენი ლაპარა-კი, რამდენადმე საამური და კანონი-ერად კითხვა და წერვა რუსულად, მუდამ სახმარებელი ლოცვები, პირ-ველ-დაწყებითი ქრისტიანული სწავ-ლა და პირველი ორი მოქმედება არითმეტიკისა (რიცხვთა შეერთება და გამორიცხვა), რიცხვთა სამმრავლებე-ლი ტაბლიცითურთ.

§4. მეორე, მესამე და მეოთხე კლასში შემოსასვლელისაგან მოით-ხოვება ამა კლასსების შესაფერო წლოვანობა და განსწავლულება. კლასსების შესაფერო წლოვანება შეიძლება თვითონ მკითხველმაც გა-მოიანგარიშოს შემდეგ მე-3§-ში ნა-თქომისა და რაკი ვაცნობებთ, რომ მეოთხე კლასსის შემასრულებელს უნდა ჰქონდეს არა ცამეტ წელიწად ნახევარზედ (13½ წ.) ნაკლები და არა თექვსმეტ წელიწად ნახევარზედ (16½ წ.) მეტი ხანი, ჩამოთვლილი კლასსების შესაფერო ცოდნის გა-სასზღვრებით ჩვენება კი ძნელია; ის შეიძლება მსურველმა შეიტყოს თა-ვის დროზედ თვით სასწავლებლის მმართველობისაგან და მასწავლებ-ლებისაგან.

§5. შემოსვლა, ანუ მიღება თვი-თვეულ ოთხ-კლასსთაგანში შეიძლე-ბა მხოლოდ სწავლის წლის დასაწ-ყისში და დაწესებული ეგზემენის დაჭერით.

§6. ეგზემენიას დააჭერინებს სას-წავლებლის მმართველობა იმ მასწა-ვლებელთ თანა-მონაწილეობით, რომელ საგნებშიაც შემოსასვლელი უნდა გამოიცადოს.

§7. სასწავლებელში შემომსვლე-ლის ეგზემენიაში მისაშვებლად უნდა თავის დროზედ თხოვნა მოიცეს სა-სწავლებლის ზედამხედველის (სმოტ-რიტლის) სახელ-გვარზედ. უკანასკნე-ლი ვადა თხოვნის მოცემისა არის 23 აგვისტო; თხოვნასთან უნდა წარ-მოადგინონ მოწმობა ცოდნის ქო-ნვისა და ყოფა ქცევისა, თუ შემო-სასვლელს სასწავლებელში სადმე უსწავლია, ანუ მხოლოდ მეტრიჩეს-კის მოწმობა, გინა მისი პირი, თუ შემოსასვლელი პირი სასწავლებელ-ში არსად ყოფილა და პირ-და-პირ სახლიდგან მოდის.

§8. ზემოხსენებული რჯულიერნი პირობების შემასრულებელი, თუ გინდ სასულიერო წოდების და უწ ყების პირის შვილი იყოს და თუგინდ სოხორციელოსი, მაინც მიიღება სას-წავლებელში და ჩაითვლება ნამდვილ მოწაფეთ, მხოლოდ არა-სასულიერო წოდების და უწყების პირის შვილს სასწავლებელი ფულს გამოართმევს.

§9. ეს ფული იმდენი იქმნება, რამდენსაც ადგილობრივ სახორციე-ლო უეზდის სასწავლებელში იღებენ; ნახევარი ამ ფულისა შემოიტანება სწავლის წლის დამდეგ და ნახევარი მეორე ნახევრის დამდეგ.

სასწავლებლის ზედამხედველი ს. ლაფეროვი

---

გამოვიდა და ისყიდება
**სურამის ციხე**
მოთხრობა დ. ჭონქაძისა.
ფასი ერთი აბაზი.

---

უუ. **ახვლედიანის და ვარლა-მოვის სარძეო სარდაფში**, ისყი-დება შემდეგი ნაწარმოები:

| | |
|---|---|
| კარაკი — გირვანქა — | 50 კაპ. |
| ნაღები— — — — — | 40 — |
| სმეტანა — — — — | 30 — |
| ყველი — — — — — | 15 — |
| ტვაროგი, ხაჭო— — — | 10 — |
| რძე— — — — — — | 5 — |
| მაწონი — — — — — | 5 — |

სარდაფი იმყოფება ერევნის მოე-დანზე, სემინარიის პირ-და-პირ, მან-დენოვის სახლებში.

(5— 5)

---




ვაცნობებთ პატივცემულს საზოგადოებას, რომ **იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა პირველი კარი ყარამანია-ნისა,** რომელიც პირველი გამოცემაა ჩვენში.

ჩვენ გვგონია ურიგო არ იქნებოდა, რომ აქამდისაც დაბეჭდილიყო ესეთი საამური საკითხავი წიგნი და ზღაპრული მოთხრობა უწინდელი გმირებისა და ფალავნების — ყ ა რ ა მ ა ნ ი ს და ზ ა რ დ ა ნ ქ ე მ ა ნ ი ს მოქმედებაები. ბევრს კი ჰსურდა ამ საამური წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ, წიგნის სიდიდისა გამო, ვერ ჰბედავდნენ, რადგანაც ამის დაბეჭდვას დიდი შრომა, ხარჯი და თავისუფალი დროც უნდოდა.

ჩვენ გავბედეთ ამ წიგნის გამოცემა სტ. მელიქიშვილის სტამბის ასოს-ამწყობთ და მაშინისტთ, **დ. ლაზარევმა** და **ნ. კობალაძემ** სტ. მე-ლიქიშვილის შემწეობით.

ეს წიგნი შეადგინს თორმეტს კარს, ე. ი. თორმეტს ნაწილს. რად-განაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ სულ ერთიანათ დაგვებეჭდა ერთ წიგ-ნათ, ამის გამო ჩვენ ვბეჭდავთ ნაწილ-ნაწილათ, ე. ი. თითო კარს.

პირველი კარი გამოვა თუ არა ბეჭდვიდგან, შეიძლება მაშინვე გას-ყიდვა; და მას შემდეგ გავაგრძელებთ ბეჭდვას მეორე კარისას და აგრეთ-ვე მესამე კარისას; ამ გვარად, ვიდრე თორმეტ კარამდის სულ ცალ-ცალ-კე წიგნათ გამოვა და გაისყიდება.

ამ მოკლე ხანში, როცა „პირველი კარის" ბეჭდვა შესრულდება, ჩვენ გამოვაცხადებთ ფასს, თუ როგორ ეღირება თითო წიგნი.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 11 | 18 | 8 | | | | | |
| მცხეთა. . . | 18 | 87 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 91 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — სამშაბათს, ღამით.
ოდესას — კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყო-ველ დღე, კვირას გარდა. ოზურ-გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვი-რას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 23 მაისს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33 1/8 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 349 1/4 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 208 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 203 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის (5 1/2) | 87 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 215 | — |
| ფოთი-თფილ რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ | 257 | 65 |

### მაზანდა

| თფილისი, 27 მაისს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შოთრაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 65 |
| გაპინტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 4 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 9 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | 5 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 5 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 5 | 8 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Мая 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.